საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საკანონმდებლო წინადადება
საკანონმდებლო წინადადების განხილვის შედეგებში (დასკვნისას) იმ მონაცემების ასახვა, რომელიც უკავშირდება კომიტეტის წევრთა მიერ ხმათა მიცემას (დადებითი ან უარყოფითი პოზიციის დაფიქსირებას)

საკანონმდებლო წინადადების ავტორი/ ინიციატორი ნიკოლოზ ნიკოლაძე პ/ნ [redacted] მობ.: [redacted] ელ. ფოსტა [redacted] რეგისტრაციის ადგილი: [redacted]

ცვლილების სახეობა: საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილებების შეტანის შესახებ;
კანონის პროექტის მიღების დასაბუთება: საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 105-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, პარლამენტის ბიურო საკანონმდებლო წინადადებას გადასცემს წამყვან კომიტეტს. რეგლამენტის მე-5 მუხლის გათვალისწინებით კი - კომიტეტის სხდომაზე საკანონმდებლო წინადადების განხილვისას შესაძლებელია მოწვეულ იქნეს მისი ავტორი (რაც თავის მხრივ სავარაუდოდ გულისხმობს, რომ სხდომის მიმდინარეობისას წინადადების ავტორს ეძლევა შესაძლებლობა, რომ - ადგილზე შეიტყოს მის მიერ წარდგენილ განაცხადთან მიმართებით შეიტყოს გამოხატული პოზიციების შესახებ), ხოლო მე-6 მუხლის თანახმად, საკომიტეტო განხილვის შედეგად საკანონმდებლო წინადადების წარდგინება მოტივირებული გადაწყვეტილებით შეიძლება ცნობილ იქნეს მიღებულად ან უარყოფილად. საგულისხმოა, რომ ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, საკანონმდებლო წინადადებით განსაზღვრული საკითხის ხელმეორედ წარდგენა დასაშვებია, შესაძლოა რომ მოცემულ საკითხში შუამდგლობისათვის ინიციატორმა მიმართოს საქართველოს პარმანენტის შესაბამის დეპუტატს და შეჯერებული/ მეტად არგუმენტირებული პოზიციით შესაბამისი განხილვის მიზნით მიმართონ საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილ ორგანოს. რა თქმა უნდა იმ პირისათვის, რომელსაც საკანონმდებლო ორგანოში არ ჰყავს სანაცნობო წრე, მისთვის ძალზედ რთული იქნება შეიტყოს იმ დეპუტატთა შესახებ, რომელთაც საკომიტეტო განხილვისას დადებითი პოზიცია დააფიქსირეს კენჭიყრისას. საქართველოს პარლამენტის ვებ გვერდზე (ჩანართი - კანონმდებლობა) მოცემული საკანონმდებლო წინადადებების ჩანაწერებში მართალია კი ვხვდებით საკომიტეტო განხილვის აუდიო ჩანაწერს - თუმცა, როგორც წესი ხსენებული არ იძლევა კენჭისყრაზე დამსწრე პირთა გამოხატული (ინდივიდუალური) პოზიციების და დამსწრე პირთა შემადგენლობის იდენტიფიცირების შესაძლებლობას.

იდენტიფიცირებული პრობლემა, რომლის გადაჭრა საკანონმდებლო წინადადების მიზანია: საკანონმდებლო წინადადების განხილვის შედეგების სათანადო ხელმიუწვდენლობა.

თავისთავად, ჩემთვის, ისევე, როგორც საკანონმდებლო წინადადების წარმდგენი სხვა პირებისათვის, გარდა კომიტეტის დასკვნისა, საინტერესო არის ასევე განხილვის პროცესში ჩართულ პირთა პოზიციების გაგებაც (პირადად ჩემთვის ნამდვილად

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
მიღებულია № 1-14050/23
01 11 2023 წ. ფურცელი 1

საინტერესო იყო და არის ჩემს მიერ წარდგენილ საკანონმდებლო წინადადებების მიმართ გამოხატული პოზიციები). გამჭირვალობის უზრუნველყოფა თავის მხრივ დემოკრატიულ პროცესებსაც შეუწყობს ხელს. ამ მხრივ ყველაზე მეტად ყურადსაღებია - საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსის 106-ე მუხლით მოცემული ნორმა, რომლის თანახმად კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს სხდომის ოქმში ასევე უნდა აისახოს კენჭისყრის შედეგები. მსგავსი დანაწესის კომიტეტის სხდომასთან მიმართებით მიღების შემთხვევაში კი - საჭირო გახდება რეგლამენტის 105-ე მუხლის



მე-5 პუნქტში ცვლილებების (დამატებების) შეტანაც.

30/10/2023